ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ/8114982**
თარიღი:**12/07/2021**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის, დებულების და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე -3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა (დანართი #1).

2. მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ბიუჯეტად 2022 წლისთვის განისაზღვროს 150,0 ათასი ლარი.

3. მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადების გასანხორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხის მაქსიმალური ოდენობა 2022 წლისთვის არ უნდა აღემატებოდეს 30.0 ათას ლარს.

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში 2022 წლისთვის შესაძლებელია დაფინანსდეს მინიმუმ ხუთი საპროექტო წინადადება.

5. 2022 საბიუჯეტო წლისთვის, პროგრამის ეტაპებისთვის განისაზღვროს დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილისგან განსხვავებული ვადები, კერძოდ:

ა) მოსამზადებელი ეტაპი - 19 სექტემბრამდე;
ბ) საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი - 30 სექტემბრამდე;
გ) საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევა - 1 ოქტომბრიდან 8 ოქტომბრამდე;
დ) კენჭისყრის ეტაპი - 11 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე;
ე) გამარჯვებული პროექტის გამოვლენა და პროექტის დამუშავება ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით - 1 ნოემბრიდან 8 ნოემბრამდე.

3. პროგრამის განსახორციელებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერის პირველი მოადგილე - ვარლამ ჭიპაშვილი
ბ) მერის მოადგილე - დავით დევდარიანი
გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - ვლადიმერ გელაშვილი
დ) საფინანსო-სახაზინო განყოფილების უფროსი- ნინო მაღლაკელიძე
დ) ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - პეტრე შარიქაძე
ე) განათლების, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - ირინე ჩხეიძე
ვ) იურიდიული განყოფილების უფროსი - ინგა ლურსმანაშვილი

4. პროგრამის კოორდინატორობა დაევალოს მერის მოადგილეს - დავით დევდარიანს

5. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამარჯვებული საპროექტო წინადადება გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში.

6. ბრძანება ძალაშია ხემოწერისთანავე.

7. ბრძანების გაცნობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს.

8. ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. N 48).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი